ოქმი #7

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2025 წლის პირველი ოქტომბრის სხდომისა

სხდომას ესწრებოდნენ:

სამეცნიერო საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი (საბჭოს თავ-რე), მ. ელიაშვილი, ა. კვინიხიძე, ი. კიღურაძე, გ. ლავრელაშვილი, მ. მანია, ბ. მესაბლიშვილი, ა. მესხი, ნ. ფარცვანია, ნ. შავლაყაძე, ს. ხარიბეგაშვილი, მ. ჯიბლაძე, გ. ჯორჯაძე, ო. ჯოხაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 27 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 14 წევრი).

დღის წესრიგი:

1. ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის და მეცნიერი თანამშრომლების ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისთვის საკონკურსო კომისიის შექმნა.

მოისმინეს: ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ 2025 წლის 19 სექტემბერს გამოცხადდა კონკურსი თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის და მეცნიერი თანამშრომლების სამსახურში მისაღებად (*თსუ რექტორის 2025 წლის 18 სექტემბრის # 212/01-01 ბრძანება*). კერძოდ, კონკურსი გამოცხადდა შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

გეომეტრიისა და ტოპოლოგიის განყოფილება:
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 0.5 საშტატო ერთეული;
მათემატიკური ლოგიკის განყოფილება:
მეცნიერი თანამშრომელი - 0.5 საშტატო ერთეული;
მათემატიკური ანალიზის განყოფილება:
მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული.

ამასთან დაკავშირებით, საჭიროა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ თსუ რექტორს დასამტკიცებლად წარუდგინოს თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის საკონკურსო კომისია.

საკონკურსო კომისიის წევრობის კანდიდატებად დასახელდნენ: თორნიკე ქადეიშვილი, ალექსანდრე მესხი, მამუკა ჯიბლაძე.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე. ჩატარდა ღია კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14, წინააღმდეგი - 0.

დაადგინეს:

1) წარედგინოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტ-ის რექტორს დასამტკიცებლად თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. **თორნიკე ქადეიშვილი** - თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის გეომეტრიისა და ტოპოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
2. **ალექსანდრე მესხი** - თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
3. **მამუკა ჯიბლაძე** - თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ლოგიკის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.

2) თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციაა ზემოთ აღნიშნული საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე იყოს თ. ქადეიშვილი, თავმჯდომარის მოადგილე - მ. ჯიბლაძე, ხოლო კომისიის მდივანი - ა. მესხი.

საბჭოს თავმჯდომარე — თ. ქადეიშვილი

სწავლული მდივანი — ო. ჯოხაძე